ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N5

29.05.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე კურსებისთვის კვოტების მოხსნა.
2. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გარე მობილობის ვაკანტური ადგილების შესახებ
3. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში მისაღები ადგილების რაოდენობის შესახებ
4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესი
5. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება
6. სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ თსუ-ს ადმინისტრაციაში წარდგენილი პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვა
7. 2015 - 2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში კურსდამთავრებული ხატია ხუციშვილის წარდგინება
8. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში მოქმედი მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება
9. და სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

თავმჯდომარე: დეკანი, პროფ. თამარ გაგოშიძე

მდივანი: ასოც. პროფ. ლილი ხეჩუაშვილი

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

პროფესორები: მზია წერეთელი, ქეთევან ჭკუასელი, იამზე კუტალაძე, ლალი სურმანიძე; ნ. სუმბაძე

ასოცირებული პროფესორები:
ვახტანგ ნადარეიშვილი, მანანა მელიქიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ეკატერინე ფირცხალავა, ირინე ჟვანია, ა. ქიტიაშვილი, მ. დესპოტაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი.

ასისტენტ-პროფესორები: ლ. ჩხიკვიშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ნ. კაპანაძე, პ. ჯოლბორდი, მ. თავბერიძე, ს. თოფურია.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა **22 წევრი.**

განიხილეს:

დღის წესრიგის გარეშე: **საბჭოს დროებითი მდივნის არჩევა**

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საბჭოს მდივანი, ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი საპატიო მიზეზის გამო ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას. ამიტომ მან საბჭოს შესთავაზა მიმდინარე სხდომისთვის მდივნის არჩევა.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ლ. სურმანიძემ დაასახელა ასოცირებული პროფესორის, ლილი ხეჩუაშვილის კანდიდატურა.

კენჭი უყარეს: ასოცირებული პროფესორის ლილი ხეჩუაშვილის კანდიდატურას.
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: ფაკულტეტის მიმდინარე საბჭოს სხდომაზე საბჭოს მდივნის მოვალეობა ერთჯერადად შეასრულოს ასოცირებულმა პროფესორმა ლილი ხეჩუაშვილმა.

ასოცირებული პროფესორის გიორგი გოროშიძის თხოვნით საბჭოზე განსახილველი საკითხების სიას დაემატა შემდეგი საკითხები:

1) ფსიქოლოგიის ძველი საბაკალავრო პროგრამის აღდგენის აუცილებლობის საკითხი;
2) ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფუნქციური გამდიდრების საკითხი;

3) საბაკალავრო პროგრამაში ასოც. პროფ. გ. გოროშიძის 2 სილაბუსის ჩართვის საკითხი.

ასოც. პროფ. გ. გოროშიძემ ასევე წამოაყენა წინადადება, რომ სამომავლოდ ინფორმაცია საბჭოს მოწვევისა და განსახილველი დღის წესრიგის შესახებ საბჭოს წევრებისთვის მინიმუმ ერთი კვირით ადრე იყოს ცნობილი, რათა მათ შეძლონ საკითხების სათანადოდ გაცნობა და მომზადება სხდომისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ პროფ. თ. გაგოშიძემ საპასუხოდ შეახსენა ასოც. პროფ. გოროშიძეს, რომ დღის წესრიგი საბჭოს წევრებს სამი დღით ადრე ეგზავნებათ და მისცა პირობა, რომ შემდეგი სხდომისთვის ეს ვადა ერთ კვირამდე გაიზრდება.

ასოც. პროფ. ლილი ხეჩუაშვილის თხოვნით დღის წესრიგს, ასევე, დაემატა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცების საკითხი.

1. **მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე კურსებისთვის კვოტების მოხსნა**
დეკანმა პროფ. გაგოშიძემ საბჭოს შეახსენა საკითხის განხილვის ისტორია და აღნიშნა, რომ მოცემული მომენტისთვის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსების 10%-ში (რაც შეადგენს 6 კურსს) პროფესორებს შეუძლიათ ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის შეთავაზება სტუდენტებისთვის, რომელიც თანდათანობით ჩანაცვლდება ქართული საკითხავი მასალით და აღნიშნულ 10%-ში არსებული კურსების ადგილს ახალი კურსები დაიკავებს.

გარდა ამისა, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მანანა მელიქიშვილმა საბჭოს გააცნო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია, რომელშიც გაწერილია, რომ სასწავლო პროგრამის მხოლოდ ცალკეული კომპონენტი შეიძლება შეეთავაზოს სტუდენტებს უცხო ენაზე.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მთლიანად ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის მომცველი არჩევითი კურსების შეთავაზების მიზანშეწონილებაზე.

პროფესორმა ნანა სუმბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კურიკულუმში არ უნდა იყოს შეზღუდული ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის მქონე არჩევითი კურსების რაოდენობა. თავისი პოზიცია, რომელიც, ფაქტობრივად, გამოთქმული მოსაზრების მხარდამჭერი იყო, დააფიქსირა ასოც. პროფ. გოროშიძემაც.

პროფ. იამზე კუტალაძემ განიხილა და ყურადღება გაამახვილა იმ რისკებზე, რაც თან ახლავს პროფ. ნ. სუმბაძის შეთავაზების მიღებას. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ამით დაირღვევა სასწავლო ლიტერატურის მისაწვდომობის პრინციპი, რამდენადაც

სტუდენტთა ის ნაწილი, რომელიც თავისუფლად ვერ კითხულობს ინგლისურ ენაზე, ფაქტობრივად, სასწავლო ლიტერატურის გარეშე დარჩება, საბოლოოდ კი საბაკალავრო სწავლება შეიძლება საერთოდაც ქართულენოვანი საკითხავი მასალის გარეშე აღმოჩნდეს, ვინაიდან პროფესორები აღარ მოისურვებენ ქართულენოვანი რიდერების მოსამზადებლად დამატებითი სამუშაოს შესრულებას.

ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მელიქიშვილმა და დეკანმა, პროფ. გაგოშიძემ კვლავ განმარტეს არსებული ვითარება: აღნიშნეს, რომ ამ წინადადების მიღებით ირღვევა კანონი, რამდენადაც ეწინააღმდეგება დებულებას, რომლის თანახმად ქართულ უნივერსიტეტში სწავლება ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, ბაკალავრიატი კი უზრუნველყოფილ უნდა იყოს ქართულენოვანი სასწავლო მასალით.

ასოც. პროფ. ვახტანგ ნადარეიშვილმა დასვა კითხვა: რამდენად შეძლებენ სტუდენტები მხოლოდ ინგლისურენოვანი მასალის ათვისებას, რამდენად ეყოფათ მათ კომპეტენცია ინგლისურ ენაში და რამდენად რეალისტურია ამგვარი კურსების შეთავაზება მათთვის.

პროფ. მზია წერეთელმა წამოაყენა არგუმენტები იმის სასარგებლოდ, თუ რატომ უნდა იყოს კურსების ფარგლებში შეთავაზებული საკითხავი მასალა ქართულ ენაზე. არგუმენტები შეეხებოდა ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტის უფლებას, ისწავლოს მშობლიურ ენაზე, კანონის დარღვევის რისკს და სტუდენტების კომპეტენციას ინგლისურ ენაში. ამასთან, იქვე დასძინა, რომ პროფესორებს გაუიოლდებათ საბაკალავრო კურსების მომზადება და წარმართვა, თუ მათ წინაშე ქართულენოვანი საკითხავი მასალის მომზადების მოთხოვნა აღარ იქნება.

სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა (პროფ. სუმბაძე, ასოც. პროფ. ანასტასია ქიტიაშვილი) გამოთქვეს მოსაზრება, რომ ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის მქონე არჩევით კურსებზე დაწესებული კვოტის მოხსნით სტუდენტებს ინგლისური ენის სწავლის მოტივაცია მოემატებათ და ენის ცოდნის ხარისხი ამაღლდება. ამიტომ მათ მართებულად მიაჩნიათ კვოტის არათუ გაზრდა, არამედ მთლიანად მოხსნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გაგოშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ნებისმიერ არჩევით საგანში ინგლისურენოვან (უცხოენოვან) ლიტერატურაზე (იგულისხმება ინგლისურენოვანი საკითხავი მასალა) ფაკულტეტის მიერ დაწესებული კვოტის მოხსნის საკითხი.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 12
თავი შეიკავა - 4

დაადგინეს:
არ იქნეს მიღებული წინადადება კვოტის მოხსნის შესახებ, შესაბამისად, კენჭისყრის შემდეგ ისევ ძალაში რჩება 10%-იანი კვოტა ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის მქონე არჩევითი კურსებისთვის.

კენჭისყრის შემდეგ ასოც. პროფ. ანასტასია ქიტიაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ არსებული არჩევითი კურსების 50%-სთვის (ანუ 56/2=28 კურსისთვის) იქნეს დაშვებული უცხოენოვანი ლიტერატურის შეთავაზება სტუდენტებისთვის.

აზრი გამოთქვეს: პროფ. მ. წერეთელმა და ასოც. პროფ. ვახტანგ ნადარეიშვილმა. პროფ. წერეთელმა აღნიშნა, რომ ასოც. პროფ. ა. ქიტიაშვილის შემოთავაზებული სქემით გაჭირდება სტუდენტების შესაძლებლობების შესატყვისი და დებულებით დაშვებული რაოდენობის ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის შემცველი კურსების შეთავაზება, ასევე, უმართავი შეიძლება გახდეს როგორც ახალი კურსების დამატების, ისე არსებულ კურსებში ცვლილებების შეტანის პროცესი. ასოც. პროფ. ვ. ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია, რომ სასწავლო ლიტერატურა სტუდენტებისთვის მიწოდებულ იქნეს პროფესორების მიერ გადამუშავებული და ქართულ ენაზე მომზადებული საკითხავი მასალის სახით. მან სრულიად უმართებულოდ მიიჩნია სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების მითითება პროფესორების მიერ მასალის გადამუშავების გარეშე. ასევე, მან შეაჯამა პროფ. კუტალაძისა და ასოც. პროფ. გოროშიძის მიერ შემოთავაზებული წინადადება დეპარტამენტში შემავალი ინსტიტუტებისთვის ინგლისურენოვანი მასალის შემცველი კურსების კვოტების დაწესების შესახებ.

ასოც. პროფესორის ა. ქიტიაშვილის წინადადებით, არჩევითი კურსების რაოდენობას უნდა დაემატოს ამჟამად არსებული რაოდენობის ნახევარი ინგლისურენოვანი საკითხავი მასალით. პროფ. გ. გაგოშიძემ დასვა შეკითხვა: რა იგულისხმება მოცემულ წინადადებაში - საერთოდ არსებული არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის მქონე კურსების ხარჯზე, თუ 10%-იანი კვოტის შეცვლა 50% -ით?

ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ასოც. პროფესორის ა. ქიტიაშვილის წინადადების შესაბამისად, იზრდება არჩევითი კურსების რაოდენობა, რაც დაუშვებელია, რამდენადაც აჭარბებს კურიკულუმის შეცვლის დაშვებულ ფარგლებს, შესაბამისად, საბაკალავრო კურიკულუმის დგება

ახალ აკრედიტაციის წინაშე. ასოც. პროფ. გ. გოროშიძემ კვლავ გამოთქვა მოსაზრება ინსტიტუტებისთვის კვოტის დაწესების შესახებ და ამ კვოტის რაოდენობა 10%-ით განსაზღვრა. პროფ. ნ. სუმბაძემ აღნიშნა, რომ ინგლისურენოვანი კურსებისთვის, პროცენტული წილის ნაცვლად, უნდა განისაზღვროს რაოდენობა და უნდა იყოს 20 არჩევითი კურსი.

ამის შემდეგ მოსაზრება გამოთქვა სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა სტუდენტმა პაატა ჯოლბორდმა. მან აღნიშნა, რომ იმის მიუხედავად, რამდენად კარგად იციან ბაკალავრიატის სტუდენტებმა ინგლისური ენა, ისინი მაინც არ არიან მომზადებული პროფესიული ლიტერატურის საკითხავად ისე, რომ მთლიანი კურსის მასალა ინგლისურ ენაზე აითვისონ. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ითვალისწინებენ სტუდენტებისთვის საკითხავი მასალის ქართულ ენაზე მოსამზადებლად პროფესორთა პრობლემასაც დროისა და სხვა სახის რესურსების დეფიციტის თვალსაზრისით, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ სტუდენტებს არა აქვთ ვალდებულება ქართულ უნივერსიტეტში, სადაც კანონის შესაბამისად სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, სრული კურსისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა არაქართულ ენაზე იკითხონ და მოამზადონ.

თვითმმართველობის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა, ასოც. პროფ. ეკატერინე ფირცხალავამ წამოაყენა წინადადება, რომ გადაიდოს საკითხის განხილვა, თუმცა საბჭოს თავმჯდომარემ მაინც შესთავაზა კიდევ ერთხელ საბჭოს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი არჩევითი კურსების 50%-სთვის ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის დაშვების შესახებ საკითხის კენჭისყრაზე დაყენება.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - (დანარჩენი ყველა)

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

არ იქნეს დაშვებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი არჩევითი კურსების 50%-სთვის ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის შეთავაზება.

კენჭისყრის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე შეთანხმებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ფაკულტეტზე სწავლების ხარისხის შენარჩუნებისთვის, აქ არ არის საუბარი კონკრეტულ პროფესორებსა თუ

ინსტიტუტებზე. შესაბამისად, მან საბჭოს შესთავაზა, რომ გადაწყვეტილების მიღება გადატანილ იქნეს შემდეგი სხდომისთვის და, ასევე, მოფიქრებული და შეთანხმებული იქნეს,რა დრო შეიძლება მიეცეს პროფესორს ქართულენოვანი საკითხავი მასალის მოსამზადებლად ქართულენოვანი საკითხავი მასალის მოსამზადებლად პროფესორს

2. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გარე მობილობის ვაკანტური ადგილების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერების დეპარტამენტების წარმომადგენლებს სთხოვა, განესაზღვრათ ბაკალავრიატში გარე მობილობისთვის მოსათხოვნი ადგილების რაოდენობა. ორივე დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დაასახელა თითოეული დეპარტამენტისთვის მისაღები რაოდენობა, კერძოდ:
პროფ. თ. გაგოშიძემ დაასახელა 30 სტუდენტი.

კენჭი უყარეს:
- მომხრე - 22
- წინააღმდეგი - 0
- თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:
ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე გარე მობილობისთვის გამოიყოს 30 ადგილი და ამ 30 ადგილზე გამოცხადდეს კონკურსი.

განათლების მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ჭკუასელის განცხადებით, დეპარტამენტი 20 სტუდენტის მიღებას შეძლებს გარე მობილობით.

კენჭი უყარეს:
- მომხრე - 22
- წინააღმდეგი - 0
- თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:
განათლების მეცნიერების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე გარე მობილობისთვის გამოიყოს 20 ადგილი და ამ 20 ადგილზე გამოცხადდეს კონკურსი.

3. **2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში მისაღები ადგილების რაოდენობის შესახებ**

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. გაგოშიძემ სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელ ინსტიტუტებს მიმართა შეკითხვით, რომელიც ეხებოდა მომავალი სასწავლო წლისთვის მისაღები დოქტორანტების რაოდენობას.

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ინსტიტუტების/პროგრამების წარმომადგენლებმა დაასახელეს შემდეგი რაოდენობები:

- გამოყენებითისოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა - 2
- განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა - 2
- შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა - 3
- განათლების მეცნიერებების მიმართულებით სადოქტორო პროგრამა - 10
- პოზიტიური ფსიქოლოგია -- ემპირიული კვლევები - 6 (თუმცა, ამ პროგრამას ჯერ არ გაუვლია აკრედიტაცია და არ არის გარკვეული, გამოცხადდება თუ არა ამ ადგილებზე დოქტორანების მიღება).

კენჭი უყარეს:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სადოქტორო პროგრამებისთვის მოთხოვნილ იქნეს 23 ადგილი და გამოცხადდეს კონკურსი.

4. **ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესი**

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ დასვა საკითხი უცხოელი სტუდენტების საბაკალავრო პროგრამაზე უგამოცდოდ მიღების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. მზია წერეთელმა აღნიშნა, რომ მართებული იქნება უცხოელი სტუდენტების უგამოცდოდ მიღების წესის შემოღება, რასაც საბჭოს სხვა წევრები დაეთანხმნენ. პროფ. ლალი სურმანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ მიმართულებით სამუშაოდ მიზანშეწონილია სპეციალური კომისიის არჩევა.

საბჭომ კენჭი უყარა საკითხს აღნიშნული კომისიის ფაკულტეტზე დაკომპლექტების შესახებ არსებული ინსტიტუტების დირექტორებით, კერძოდ, კენჭი ეყარა კომისიის შემდეგ შემადგენლობას:

- ასოც. პროფ. ლუიზა არუთინოვი;
- ასოც. პროფ. მაია რობაქიძე;
- ასოც. პროფ. მედეა დესპოტაშვილი;
- პროფ. ქეთევან ჭკუასელი;
- ასისტ. პროფ. ია აფთარაშვილი
- ასოც. პროფ. ირინე ჟვანია.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

უცხოელი სტუდენტების უგამოცდოდ მიმღები კომისია დაკომპლექტდეს შემდეგი შემადგენლობით:

- ასოც. პროფ. ლუიზა არუთინოვი;
- ასოც. პროფ. მაია რობაქიძე;
- ასოც. პროფ. მედეა დესპოტაშვილი;
- პროფ. ქეთევან ჭკუასელი;
- ასისტ. პროფ. ია აფთარაშვილი
- ასოც. პროფ. ირინე ჟვანია.

დაევალოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას უცხოელი სტუდენტების უგამოცდოდ მიღების წესის დაზუსტება და წარდგენა მომდევნო სხდომაზე.

5. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება

ასოც. პროფ. ლილი ხეჩუაშვილმა, რომელიც ფაკულტეტის წარმომადგენელია უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოში, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული ჯგუფის მუშაობის შესახებ. კერძოდ, მან საბჭოს წევრებს შეახსენა უნივერსიტეტის რექტორის პოზიცია სახელმძღვანელოების, საკითხავი მასალებისა და სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებისთვის საჭირო სხვა ლიტერატურის ელექტრონულ ბეჭდვაზე გადასვლის პრიორიტეტულობისა და სარგებლიანობის შესახებ და აცნობა, რომ

ნებისმიერ პროფესორს შეუძლია, სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, ელექტრონულად გამოსცეს საკუთარი ნაშრომი.

მან, ასევე, აღნიშნა, რომ საგამომცემლო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელია ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობის შერჩევა და დამტკიცება, რომელიც განიხილავს წარმოდგენილ ნაშრომებს, შეიმუშავებს საკუთარ პოზიციას (გამოიცეს თუ არ გამოიცეს) და გამოცემისთვის დასამტკიცებლად წარუდგენს ჯერ ფაკულტეტის საბჭოს და შემდეგ საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება, რომ აღნიშნული საბჭოს შემადგენლობაში შევიდეს ფაკულტეტზე არსებული ყველა ინსტიტუტის ხელმძღვანელი და ნებისმიერი პროფესორი, რომელიც გამოთქვამს ამ კომისიის წევრობის სურვილს. ამის შემდეგ პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს წარუდგინა და კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

- პროფ. თამარ გაგოშიძე (თავმჯდომარე);
- ასოც. პროფ. ლუიზა არუთინოვი;
- ასოც. პროფ. მაია რობაქიძე;
- პროფ. მზია წერეთელი;
- აოც. პროფ. მედეა დესპოტაშვილი;
- ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძე.
- პროფ. ქეთევან ჭკუასელი

კენჭი უყარეს:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

დამტკიცებულ იქნეს ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- პროფ. თამარ გაგოშიძე (თავმჯდომარე);
- ასოც. პროფ. ლუიზა არუთინოვი;
- ასოც. პროფ. მაია რობაქიძე;
- პროფ. მზია წერეთელი;
- აოც. პროფ. მედეა დესპოტაშვილი;
- ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძე.

- პროფ. ქეთევან ჭკუასელი

6. **სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ თსუ-ს ადმინისტრაციაში წარდგენილი პროექტის დაფინანსების საკითხი.**

პროფ. თ. გაგოშიძემ წარმოადგინა თსუ ადმინისტრაციის მიერ მასთან გადმომისამართებული სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროექტი: „მწვრთნელების მომზადება ყურადღების კონცენტრაციის მეშვეობით სტრესის შემცირების სატრენინგო კურსი“. პროექტი გულისხმობს უცხეოლი ტრენერების მოწვევას. მისი ღირებულება 30396 ლარის. მან სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებს სთხოვა მოცემული საკითხის დაზუსტება. ინსტიტუტის სახელით პროფ. ნ. სუმბაძემ განმარტა, რომ დღის წესრიგში ამ საკითხის ჩასმა გაუგებრობაა და შეცდომა. მან, ასევე, განმარტა, რომ აღნიშნული პროექტი მათ მიერ წარდგენილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში თანხების მოძიებაში ხელშეწყობის იმედით და ამ საკითხს ისინი ფაკულტეტის წინაშე არ სვამენ.

ასოც. პროფესორებმა ლ. ხეჩუაშვილმა და ხ. მარწყვიშვილმა აღნიშნეს, რომ „მაინდფულნესის“ ტრენინგი სტრესის დაძლევის კარგი საშუალებაა, თუმცა ჯობს ფაკულტეტმა იზრუნოს აკადემიურ სივრცეში საკონსულტაციო და ფსიქოთერაპიული მიმართულების განვითარებაზე და ამაში მოხდეს ინვესტირება. პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ რადგან ფაკულტეტის საბიუჯეტო სახსრები ისედაც მწირია, ჯობს ვიფიქროთ პრაქტიკული და კვლევითი მიმართულების განვითარებაზე მსოფლიოში ისეთი გავრცელებული მოდელების ფარგლებში, მაგალითად, როგორიცაა ქცევით-კოგნიტური თერაპია, დიალექტიკური ქცევითი თერაპია.

7. **2015 - 2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში კურსდამთავრებული ხატია ხუციშვილის წარდგინება.**

განათლების დეპარტამენტიდან შემოვიდა წერილი 2016 წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულის, ხატია ხუციშვილის სახელზე გაცემული დიპლომის ცვლილების შესახებ.

2016 წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულის, ხატია ხუციშვილის სახელზე წარჩინების დიპლომის ნაცვლად გაიცა ჩვეულებრივი დიპლომი. ცვლილების საფუძველს წარმოადგენს ბაზაში რექტორის მიერ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სტუდენტის აკადემიური მოსწრების ცვლილება (3.5 GPA).

შესაბამისად, დეპარტამენტი ითხოვს, ხატია ხუციშვილს მიენიჭოს განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2016 წლის კურსდამთავრებულისთვის. სწავლების ძირითადი დარგი - განათლების პოლიტიკა, დიპლომი -- წარჩინების.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

ხატია ხუციშვილს მიენიჭოს განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2016 წლის კურსდამთავრებულისთვის. სწავლების ძირითადი დარგი - განათლების პოლიტიკა, დიპლომი -- წარჩინების.

8. **განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში მოქმედი მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება**

განათლების მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ჭკუასელი საბჭოს წინაშე წარსდგა წინადადებით, რომ მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ივანე მინდაძე ჩაანაცვლოს ასოც. პროფ. ზაქრო ქიტიაშვილმა.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილების საკითხი შემდგომ მსჯელობას საჭიროებს და განსახილველად გადაეცეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

9. *სხვა*

ფსიქოლოგიის ძველი საბაკალავრო პროგრამის აღდგენის და პროგრამაში ასოც. პროფ. გ. გოროშიძის კურსების დამატების საკითხი.

ასოც. პროფ. გ. გოროშიძემ ისაუბრა ფსიქოლოგიის ძველი საბაკალავრო პროგრამის აღდგენისა და ფუნქციური გამდიდრების აუცილებლობის შესახებ. ასევე, წამოაყენა

მოსაზრებები და არგუმენტები იმის სასარგებლოდ, თუ რატომ უნდა დაემატოს მისი ორი ახალი კურსი საბაკალავრო პროგრამას. მან გამოთქვა პრეტენზია, რომ ორი კურსი, რომელიც მან შეთავაზა ფაკულტეტს, უარყოფილ იქნა და არ იქნა ჩასმული პროგრამაში. ამის საპასუხოდ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც.პროფ. მ. მელიქიშვილმა განუმარტა მას, რომ ინსტიტუტის სახელით შემოსული მოთხოვნისთანავე კურსები დაემატება პროგრამას, ასეთი მოთხოვნა კი აღნიშნულ სამსახურს არ მიუღია.

ასოც. პროფესორმა გ. გოროშიძემ ისაუბრა ფსიქოლოგიის ახალი საბაკალვრო პროგრამის არალეგიტიმურობაზე, რადგან მისი აზრით, ძველისგან განსხვავებით, არჩევითი საგნების საათები მოდულების მიხედვით შემცირებულია. ასოც. პროფესორმა მ. მელიქიშვილმა კიდევ ერთხელ განუმარტა ასოც. პროფესორ გ. გოროშიძეს, რომ კურიკულუმში არსებითი ცვლილებები არ შესულა და ვერც შევიდოდა, რადგან მაშინ სასწავლო გეგმის ხელახალი აკრედიტაციის საკითხი დადგებოდა. არჩევით კურსებზე გამოყოფილი საათების რაოდენობა იგივეა, უბრალოდ შეიცვალა დიზაინი, ადრე თუ მიმართულებების მიხედვით იყო ჩამონათვალი, ახლა არჩევითი საგნების ერთიანი სიაა და მინიშნებული აქვს მიმართულება.

პროფესორმა თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს ყოველ სხდომაზე ერთი და იგივე საკითხის განხილვა არაპროდუქტულს ხდის საბჭოს მუშაობას. უკვე განხილული და დამტკიცებული სასწავლო გეგმის გარშემო დისკუსია სრულიად უნაყოფოა, მით უმეტეს, რომ კურიკულუმში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, რაც დოკუმენტურად ადვილად დასტურდება.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე